ეროვნული ბიბლიოთეკა

პატ. ეკა ნინუას

საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ მიიღო თქვენი წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ უფრო მეტად მოგწონდათ რედაქციის მიერ ორგანიზებული ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილები ცნობილი მომღერლისა და დირიჟორის თ. ქევხიშვილის შესრულებით. თავიდანვე, რომ კომიტეტის ხელმძღვანელობამ და ხალხური შემოქმედების მთავარმა რედაქციამ სიმღერის გაკვეთილების გაძღოლა პატ. თ. ქევხიშვილს მიანდო.

ამაში საერთო ნიჭისა და სურვილთან ერთად იყო მეორე ფაქტორიც ბაზა ანუ მომღერალთა გუნდი, რომელიც იმ პერიოდში ჩვენთან არსებობდა -თ. ქევხიშვილის სამხატვრო ხელმძღვანელობით. სამწუხაროდ ახლად შექმნილ კომიტეტის ვაჟთა გუნდში შექმნილმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ მოგვცა არასასურველი შედეგი, გაუქმდა გუნდი და ცხადია კომიტეტიდან წავიდა თ. ქევხიშვილიც. ყოველივე ეს მოხდა რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ყოველშემთხვევაში რედაქცია უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა გუნდში მომხდარი არაჯანსაღი პროცესი. თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, რომ თ. ქევხიშვილის შემდეგ სიმღერის გაკვეთილები კარგა ხანს არ ტარდებოდა.

რედაქციის მიერ სათანადო კანდიდატურების შერჩევის შემდეგ, ხალხური სიმღერის შესწავლის გაკვეთილების გაძღოლა მიანდო ხალხურ და საერთოდ საგუნდო ხელოვნებაში ასევე ღრმად ჩახედულ დირიჟორსა და კომპოზიტორს რესპ. დამსახ. არტ. მამია ხატელიშვილს, რომელიც დიდი ხანია ხელმძღვანელობს ჩვენი კომიტეტის ვაჟთა ანსამბლს და აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის კარგი გამოცდილება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მ. ხატელიშვილის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს მაღალ შეფასებას აძლევენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის ტელემაყურებლები, მშრომელები, ინტელიგენცია. იწერებიან დადებით წერილებს. გვთავაზობენ გადაცემებში მონაწილეობის მიღებას და ა.შ.

შევთანხმდეთ, რომ მჯობზე მჯობი არ დაილევა და ნურც გამოლიოს საქართველოში.

ს. ნადარეიშვილი 1984 წ. 19-VI.

საქ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე /ი.ი. მესხიშვილი/

1984 წ. 19-VI-L